თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას. ქვემოთ მოცემულია ამორტიზაციის პერიოდები:

არამატერიალური აქტივები	ამორტიზაციის პერიოდი
ლიცენზიები	4-27 წელი
სხვა არამატერიალური აქტივები	5-10 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. კომპანიის მარაგები მოცავს საშენებლო მასალებს, საწვავს და ძირითადი საშუალების ექსპლუატაციისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას მნიშვნელოვნად არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების განაკვეთები და სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა - კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები - ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

შპს ინდიკო

საარჩევო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები - პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები - რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე.

5. ამონაგები

კომპანიის შემოსავლები ძირითადად ფორმირდება შესარულებული სამშენებლო სამუშაოების და სამშენებლო მასალების გაყიდვის საფუძველზე. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა 13,785,821 ლარი.

ნეტო ამონაგები

ლარი	2024	2023
სამშენებლო ხელშეკრულებები	12,985,429	17,344,605
მარაგების გაყიდვა	800,392	155,735
სულ ნეტო ამონაგები	13,785,821	17,500,340

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

6. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

ლარი	2024	2023
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	(8,594,442)	(10,471,395)
მარაგის გაყიდვიდან	(467,809)	(128,759)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(9,062,251)	(10,600,154)

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2024	2023
საოფისე ინვენტარი	(3,424)	(5,140)
კომუნიკაციის ხარჯები	(8,606)	(9,432)
დაზღვევა	(5,434)	(6,154)
საკონსულტაციო ხარჯები	(22,734)	(19,874)
გადარიცხვის საკომისიო	(17,932)	(8,966)
კომუნალური ხარჯი	(1,220)	(1,175)
ელექტრო ენერგიის ხარჯი	(30,952)	(16,436)
სარეგისტრაციო და ცნობები	(235)	(422)
მივლინება	(118,970)	(136,080)
მიდინარე რემონტი	(174,509)	(195,461)
სხვა ხარჯები	(3,541)	(3,889)
სახელმწიფო ბაჟი	-	(1,484)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(387,557)	(404,513)

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
ფულადი სახსრები ლარში	3260	1,144,866
ფულადი სახსრები დოლარში		4,034
ფულადი სახსრები გირვანქა სტერლინგში	-	13
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი	3,260	1,148,913

9. სავაჭრო მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი, რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. ხელმძღვანელობა მოთხოვნების დაფარვიანობას აფასებს ინდივიდუალურად თითოეული სავაჭრო მოთხოვნის წარსული გამოცდილებისა და სამომავლო მოლოდინების მოლოდინებზე დაყრდნობით. თუმცა შესაძლოა მათი დაფარვის რეალური მაჩვენებელი განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მოლოდინებისგან. ინფორმაცია სავაჭრო მოთხოვნების რეზერვთან დაკავშირებით იხილეთ ქვემოთ:

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სავაჭრო მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
სავაჭრო მოთხოვნები	4,938,131	1,849,218
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(52,241)	(53,261)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	4,885,890	1,795,957

საექვო სავაჭრო მოთხოვნები	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	30-12-24	31-12-23
საექვო მოთხოვნები რეზერვი 01 იანვრის მდგომარეობით	53,261	9,461
საექვო მოთხოვნები ცვლილება	(1,020)	53,261
საექვო რეზერვის გამოყენება		(9,461)
საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	52,241	53,261

10 მარაგები	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
ნედლეული და მასალები	1,568,638	2,539,387
დაუსრულებელი პროექტები		181,733
სხვა მასალები	6,879	6,543
სულ მარაგი	1,575,517	2,727,663

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

11.ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	საწარმო ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,085,637	226,928	1,533,796	191,509	10,036,068	204,762	189,957	7,176,854	20,645,511
შემოსვლა	1,600	767,214			921,696		70,220		1,760,730
რეკლასიფიკაცია დაუმ. მშენებლობიდან გასვლა		(24,633)		24,633		(18,879)			- (18,879)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,087,237	969,509	1,533,796	216,142	10,957,764	185,883	260,177	7,176,854	22,387,362
შემოსვლა	2,354,963	27,142	35,257		2,016,112	51,461	10,333	17,525	4,512,793
რეკლასიფიკაცია დაუმ. მშენებლობიდან გასვლა						(27,777)	(380)		- (28,157)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,442,200	996,651	1,569,053	216,142	12,973,876	209,567	270,130	7,194,379	26,871,998
დარიცხული ცვეთა									-
დაგროვილი ცვეთა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(505,965)	(40,821)	(6,881,793)	(121,176)	(149,366)	(4,588,528)	(12,287,649)
ცვეთა გასვლა			(51,391)	(7,534)	(566,038)	(13,597) 17,519	(15,870)	(494,266)	(1,148,696) 17,519
დაგროვილი ცვეთა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(557,356)	(48,355)	(7,447,831)	(117,254)	(165,236)	(5,082,794)	(13,418,826)
ცვეთა გასვლა			(49,410)	(8,389)	(570,031)	(16,013) 26,676	(19,975) 369	(399,691)	(1,063,509) 27,045
დაგროვილი ცვეთა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(606,766)	(56,744)	(8,017,862)	(106,591)	(184,842)	(5,482,485)	(14,455,290)
ნარჩენი ღირებულება									-
2023 წლის მდგომარეობით	1,087,237	969,509	976,440	167,787	3,509,933	68,629	94,941	2,094,060	8,968,536
2024 წლის მდგომარეობით	3,442,200	996,651	962,287	159,398	4,956,014	102,976	85,288	1,711,894	12,416,708

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები ნარჩენი ღირებულებით 3,220,328 და 3,296,106 ლარი დატვირთულია გირავნობა-იპოთეკით.

12 არამატერიალური აქტივები

ლარი	ლიცენზიები	სხვ არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	173,699	1,679	175,378
შემოსვლა			-
გასვლა	(59,322)		(59,322)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114,377	1,679	116,056
შემოსვლა		3,836	3,836
გასვლა	-		-
წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	114,377	5,515	119,892
დარიცხული ამორტიზაცია			
დაგროვილი ამორტიზაცია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(23,027)	(419)	(23,446)
ამორტიზაცია	(81,597)		(81,597)
გასვლა	59,322		59,322
დაგროვილი ამორტიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(45,302)	(419)	(45,721)
ამორტიზაცია	(27,713)	(576)	(28,289)
გასვლა	-		-
დაგროვილი ამორტიზაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(73,015)	(995)	(74,010)
ნარჩენი ღირებულება			
2023 წლის მდგომარეობით	69,075	1,260	70,335
2024 წლის მდგომარეობით	41,362	4,520	45,882

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

13. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. 2024 წელს მიღებულმა ავანსმა შეადგინა 2,303 ლარი

14. სხვა ფინანსური ვალდებულებები (დარიცხული პროცენტები)	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი			31-12-24	31-12-23
საქართველოს ბანკის სესხი ხელ# 9651130	GEL	12.50%	890	
საქართველოს ბანკის სესხი ხელ# 11325390	GEL	13.50%	320	
იოსებ გადელიას სესხი ხელ# 18.10.2024	GEL	11.77%	334	
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები (დარიცხული პროცენტები)			1,544	-

15. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი			31-12-24	31-12-23
საქართველოს ბანკის სესხი ხელ# 9651130	GEL	12.50%	2,500,000	
საქართველოს ბანკის სესხი ხელ# 11325390	GEL	13.50%	864,397	
იოსებ გადელიას სესხი ხელ# 18.10.2024	GEL	11.77%	168,272	
სულ მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			3,532,669	-

16. ხარჯების და ვალდებულებების ანარიცხები

2025 წლის დასაწყისში განხორციელდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში, რომლის თანახმად სამშენებლო მომსახურება, რომელიც მცირე მეწარმე, ფიზიკური პირის მიერაა გაწეულია იურიდიული პირისთვის, ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადით 20%-იანი განაკვეთის დაბეგვრას. კომპანიამ შეაფასა არსებული ოპერაციები და დაასკვნა, რომ არსებობს საკმაოდ მაღალი ალბათობა (დაახლოებით 80–85%), რომ აღნიშნული შემოსავალი ჩაითვალოს ამ ახალი რეგულაციის მოქმედების სფეროდ. შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტმა, მის ფასს-ის სექცია 21 „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ მოთხოვნებთან შესაბამისად, აღიარა სავარაუდო გადასახადის ანარიცხი 129,899 ლარის ოდენობით.

17. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას კომპანიაზე ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის კომპანიის მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. კომპანიას მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი კომპანიას ძირითადად წარმოუშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საკრედიტო რისკის გავლენა	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,885,890	1,795,957
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	3,260	1,148,913
	4,889,150	2,944,870

კომპანია საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის კომპანიის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, კომპანიას ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

ფულადი სახსრების სრულად განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს კომპანიის ლიკვიდურობას.

მიმდინარე ფინანსური ვალდებულებები	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	461,711	1,748,594
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3,532,669	
	3,994,380	1,748,594

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

18. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები

დაკავშირებულ საწარმოსთან განხორციელებული ოპერაციები		
ლარი	2024	2023
საქონლის რეალიზაცია	609,562	3,800
საქონლის შესყიდვები	(10,492)	(42,000)
მომსახურებების შესყიდვები	(5,500)	(5,500)
	593,570	(43,700)

ნაშთები დაკავშირებულ საწარმოსთან დაკავშირებული საწარმო	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ლარი	31-12-24	31-12-23
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	318320	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(131,750)	(131,750)
	186,570	(131,750)

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან კომპანიის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება

ოპერაციები მმართველ რგოლთან		
ლარი	2024	2023
ხელფასი და ბონუსები	101,254	83,738

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე

შპს ინდიკო

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

19.1 დივიდენდის განაწილება

2025 წლის 6 იანვარს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან 2024 წლის 30 ნოემბრამდე უნდა გაიცეს 1,490,526.34 ლარის ოდენობის დივიდენდი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ვალდებულება 2024 წელს წარმოიქმნა, იგი ასახული არაა 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

19.2 მარაგების დანაკარგი და შემდგომი მოვლენები

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განიცადა მარაგების დანაკარგი თანამშრომელთა მიერ განხორციელებული ქურდობის შედეგად. მოპარული მასალების საერთო თვითღირებულება შეადგენს დაახლოებით 44,851 ლარს, საიდანაც 17,384 ლარი მიეკუთვნება 2024 წელს, ხოლო 27,467 ლარი 2025 წელს. კომპანიამ აღნიშნული ფაქტის შესახებ ინფორმაცია მიიღო სამართალდამცავი ორგანოებისგან მას შემდეგ, რაც პოლიციამ შეაჩერა კომპანიის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაადგილდებოდა შესაბამისი დოკუმენტების გარეშე. გამოძიების შედეგად კომპანია აღიარებულია დაზარალებულად, ხოლო შესაბამისი თანამშრომლები ბრალდებულებად. 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამისი დანაკარგი ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგების მუხლში „მასალების დანაკარგი“.

აღნიშნული მოვლენა წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენას, რომელიც იძლევა დამადასტურებელ მტკიცებულებას 2024 წლის ბოლოს არსებული მარაგების მდგომარეობის შესახებ და შესაბამისად გაითვალისწინა კომპანიამ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობამ გამოსაცემად დაამტკიცა 2025 წლის 07 ნოემბერს.

მმართველობის ანგარიშგება
შპს „ინდიკო“

2024 წ.


მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

1. კომპანიის შესახებ ინფორმაცია

შპს „ინდიკო“ (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. კომპანია დაარსდა 1996 წელს. კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელია იოსებ გადელია, ხოლო კომპანიის დირექტორია მანანა გვასალია.

კომპანიის სტრუქტურა



2. ოფისები და შეთავაზებული მომსახურება

შპს „ინდიკო“-ს იურიდიული მისამართია: ქ. სენაკი, ღვინჯილის ქ.#3, ხოლო ფაქტობრივი მისამართია სენაკი სოფელი თეკლათი, სადაც განთავსებულია კომპანიის ოფისი და მდებარეობს საწარმოო ინფრასტრუქტურა. კომპანიას ასევე აქვს ოფისები:

- თბილისი მარტავას ქ. 40
- ლანჩხუთის რაიონი სოფ. გონიოში
- ბაკურიანში

პროექტების შესაბამისად, კომპანიას აქვს მობილური ოფისები სამშენებლო ობიექტების შესაბამისად.

დღეის მდგომარეობით კომპანია ძირითადად მუშაობს ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და მომხმარებელს სთავაზობს შემდეგი სახის მომსახურებას:

- ასფალტო-ბეტონის გზების მშენებლობა, მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია;
- რკინა-ბეტონის გზების მშენებლობა, მოდერნიზაცია და რეაბილიტაცია;
- საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოების შესრულება;
- შენობა/ნაგებობების მშენებლობა და რეკონსტრუქცია;

კომპანია დამატებით მოიპოვებს, აწარმოებს და ყიდის შემდეგ სამშენებლო მასალებს:

- ქვიშა;
- ხრეში;
- ღორღი;
- ბეტონი;
- ასფალტო-ბეტონი.

3. განვითარების გეგმები

კომპანიის მიზანია იყოს ლიდერი კომპანია ქვეყანაში რაც შეიძლება მეტი ინოვაციური და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული კომპლექსური ინფრასტრუქტურული პროექტებით. კომპანია უპირატესობას ანიჭებს პროექტებს, რომლებიც მოიცავენ მშენებლობას, რაც კომპანიას შესაძლებლობას აძლევს, გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები და შემოიტანოს საქართველოში მსოფლიოში არსებული თანამედროვე ტექნოლოგიები.

კომპანიას არჩეული აქვს ექსპანსიის სტრატეგია და თავის თავს ხედავს სამი წლის შემდეგ შემდეგნაირად:





კომპანია გეგმავს 2025 წელს დაასრულოს ახალი ბეტონის ქარხნის — ELKOMIX-120 — სამონტაჟო სამუშაოები, რომლის წარმადობა საათში შეადგენს დაახლოებით 100–105 კუბურ მეტრს. აღნიშნული ქარხნის ამოქმედება ხელს შეუწყობს კომპანიის წარმოების მოცულობისა და ეფექტიანობის ზრდას. გარდა ამისა, კომპანია გეგმავს დაიწყოს მზა ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციების წარმოება და რეალიზაცია.

4. კომპანიის ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობა რელევანტურად მიიჩნევს საქმიანობის შედეგების შემდეგი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების განხილვას:

საოპერაციო და წმინდა მოგება	2022	2023	2024
საოპერაციო შემოსავლები	10,733,525	17,344,605	13,785,821
წმინდა მოგება	1,173,544	5,265,343	3,124,946



საოპერაციო და წმინდა მოგების ცხრილიდან და გრაფიკებიდან ჩანს, რომ კომპანიის საოპერაციო შემოსავლები და წმინდა მოგება გარკვეული სტაბილურობით ხასიათდება.

წმინდა მოგება და ამორტიზაცია	2022	2023	2024
შემოსავალი	10,733,525	17,500,340	13,785,821
საერთო მოგება	2,618,369	6,900,186	4,723,570
წმინდა მოგება ცვეთის გარეშე	2,409,358	6,495,636	4,216,744
წმინდა მოგება	1,173,544	5,265,343	3,124,946

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)

2022	11.07%
2023	46.38%
2024	34.26%

უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE): წმინდა მოგება შეფარდებული მიმდინარე და გასული წლების კაპიტალის საშუალო მაჩვენებელზე ეს ინდიკატორი პროცენტულად გვიჩვენებს რამდენი მოგება მოაქვს ერთი ერთეულის კაპიტალს წლის განმავლობაში. აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წელს 2023 წელთან შედარებით გაუარესებულია.

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)

2022 წელი	9.03%
2023 წელი	38.78%
2024 წელი	18.44%

უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA): წმინდა მოგება შეფარდებული მიმდინარე და გასული წლების მთლიანი აქტივების საშუალო მაჩვენებელზე. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენი მოგება (გამოსახული პროცენტებით) მოაქვს ერთი ერთეულის აქტივს წლის განმავლობაში. 2024 წლის უკუგების კოეფიციენტი საშუალო აქტივებზე 2024 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც განპირობებულია წლის განმავლობაში დამატებით ძირითადი საშუალებების შეძენით.

ლიკვიდობა და ფინანსური სტაბილურობა	2022	2023	2024
წმინდა საბრუნავი კაპიტალი	1,163,961	3,992,838	2,652,668
ფული და ფულის ექვივალენტები	229,311	1,148,913	3,260
სულ მიმდინარე აქტივები	3,867,212	5,741,432	6,647,048
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-	-	3,532,669
მიმდინარე ვალდებულებები	2,703,251	1,748,594	3,994,380
საკუთარი კაპიტალი	9,673,755	13,031,709	14,985,359

2024 წელს კომპანიის წმინდა საბრუნავი კაპიტალის (მიმდინარე აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები) მაჩვენებლები მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც გამოწვევულია დამატებითი სასესხო ვალდებულების აღებით.

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი

2022	68.58%
2023	168.41%
2024	122.40%

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად შესწევს უნარი კომპანიას დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. 2024 წელს აღნიშნული კოეფიციენტი მისაღებ დონეზე (1:1) მაღალია და შეადგენს 122.4% -ს

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას აქვს მოქმედი შიდა და გარე რისკები. შიდა რისკების სრული კონტროლი და აღმოფხვრა კომპანიის მენეჯმენტისათვის ხელმისაწვდომია. კომპანიის შიდა რისკები იყოფა საოპერაციო და ფინანსურ რისკებად. საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანია ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოების ყველა სტანდარტს. კომპანია სწორად მართავს ფინანსურ რისკებსაც, როგორცაა ლიკვიდურობის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობა. კომპანიას მუდმივად აქვს იმის საშუალება რომ დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. კომპანია ყოველთვის დროულად იხდის გადასახადებს. გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად. გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები ომები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

კომპანიის რისკ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მას არ აქვს დივერსიფიცირებული თავის შემოსავლები. შემოსავლების 99 პროცენტი პირდაპირ თუ ირიბად დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვებზე. ასევე გასათვალისწინებელია, ისიც რომ სახელმწიფო ტენდერებში სამწუხაროდ ფასი უფრო მნიშვნელოვანია და გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვიდრე ხარისხი. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულებული პროექტების ხარისხს და პროექტებში შეტანილ ინოვაციებს.

შპს „ინდიკო“-ს დირექტორი:

მ. გვასალია

სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი: მიმდინარე აქტივები შეფარდებული მიმდინარე ვალდებულებებთან. აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს რამდენად შესწევს უნარი კომპანიას დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. 2024 წელს აღნიშნული კოეფიციენტი მისაღებ დონეზე (1:1) მაღალია და შეადგენს 122.4% -ს

5. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიას აქვს მოქმედი შიდა და გარე რისკები. შიდა რისკების სრული კონტროლი და აღმოფხვრა კომპანიის მენეჯმენტისათვის ხელმისაწვდომია. კომპანიის შიდა რისკები იყოფა საოპერაციო და ფინანსურ რისკებად. საოპერაციო რისკების შესამცირებლად კომპანია ითვალისწინებს მარეგულირებელი ორგანოების ყველა სტანდარტს. კომპანია სწორად მართავს ფინანსურ რისკებსაც, როგორცაა ლიკვიდურობის რისკი და კაპიტალის ადეკვატურობა. კომპანიას მუდმივად აქვს იმის საშუალება რომ დროულად დაფაროს თავისი ვალდებულებები. კომპანია ყოველთვის დროულად იხდის გადასახადებს. გარე რისკებია ისეთი რისკები, რომელთაც კომპანია ვერ აკონტროლებს, მაგრამ შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები ასეთი რისკების თავიდან ასაცილებლად ან ზარალის მინიმუმამდე შესამცირებლად. გარე რისკებია: მაკროეკონომიკური რისკები, ეროვნული ვალუტის ხშირი ცვალებადობა, ეკონომიკური არასტაბილურობა, ინფლაცია, სტიქიები და კატასტროფები ომები, ასევე პოლიტიკური ცვლილებები და მარეგულირებელი ორგანოების მიერ მიღებული რეგულაციები.

კომპანია ცდილობს მზად იყოს ნებისმიერი ცვლილებისა და რისკისთვის.

კომპანიის რისკ ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მას არ აქვს დივერსიფიცირებული თავის შემოსავლები. შემოსავლების 99 პროცენტი პირდაპირ თუ ირიბად დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვებზე. ასევე გასათვალისწინებელია, ისიც რომ სახელმწიფო ტენდერებში სამწუხაროდ ფასი უფრო მნიშვნელოვანია და გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვიდრე ხარისხი. აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესრულებული პროექტების ხარისხს და პროექტებში შეტანილ ინოვაციებს.

შპს „ინდიკო“-ს დირექტორი:



[Handwritten signature]

მ. გვასალია